SOS ბავშვთა
სოფელი
საქართველო

ეროვნული ლაბ პროგრესული ანგარიში

2019

SOS ბავშვთა სოფელი საქართველო

შინაარსი

ასოციაციის "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" 2019 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

შესავალი .....
ოჯახის გაძლიერების პროგრამა 2
1.1 დედათა და ბავშვთა თავშესაფარის მომსახურებები 4
1.2 თბილისის ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პროგრამა 5
ალტერნატიული ზრუნვა 6
2.1 მცირე საოჯახო ტიპის სახლები 7
2.2 ახალგაზრდული სახლები 7
2.3 ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამა 8
2.4 ბინით უზრუნველყოფის პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამები 9
3.1 პროექტი – "ბავშვების გაძლიერება განათლების საშუალებით" 9
პროექტი "ახალგაზრდების გაძლიერება წარმატებისთვის" 9
ადვოკატირება 10

ასოციაციის "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" 2019 წლის ფინანსური ანგარიში

1. **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით……12
2. **მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება** 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით…...……..13
3. **ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება** 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით……14

ასოციაციის
“საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი”
2019 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

შესავალი

ასოციაცია “საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია საკუთარი წესდება და ჰყავს გამგეობა. ჩვენი ასოციაცია მოქმედებს საერთაშორისო ორგანიზაციის, კერძოდ კი SOS Children’s Villages Inetrnational-ის წესდებისა და პრინციპების შესაბამისად, რომელსაც მსოფლიოს 118 ქვეყანაში ჰყავს წევრი ორგანიზაცია ეროვნული ასოციაციების სახით.
ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიტოვების რისკის წინაშე მყოფი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების/ახალგაზრდების სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება და მათი კეთილდღეობის მხარდაჭერა.

სოციაცია “საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ 1989 წლიდან ეწევა საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე. ორგანიზაციის მიზანია, ოჯახის მხარდამჭერი და ალტერნატიული მომსახურებების შეთავაზებით, მიტოვების რისკის წინაშე მყოფი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების/ახალგაზრდების მზრუნველ და ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათ ჯანსაღ პიროვნებებად ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ყველა მიმართულება, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩვენი ასოციაციის მიერ სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის სახით, სრულად პასუხობს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებსა და ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკას, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ ჩვენი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც საქართველოს მთავრობასთან, ისე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

ოჯახის გაძლიერების პროგრამა

თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე ოჯახი მნიშვნელოვანია ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქო-ემოციური და სოციალური განვითარებისთვის. თითოეული ბავშვისთვის აუცილებელია ოჯახი უზრუნველყოფდეს ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მის ჯანსაღ განვითარებას. შესაბამისად, **<u>ოჯახის გაძლიერების პროგრამის</u>** მთავარი მიზანია, სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მათი მშობლების დახმარება, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვების აღზრდა-განვითარება უსაფრთხო და მზრუნველ ოჯახურ გარემოში. ოჯახის გაძლიერების პროგრამა ფუნქციონირებს თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონებში.

ოჯახის გაძლიერების პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ 0-18 წლამდე ბავშვები და მათი მშობლები, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გამო საჭიროებენ მხარდაჭერასა და დახმარებას.

ოჯახის გაძლიერების პროგრამა, სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებას, როგორიცაა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, დასაქმებასა და თვითდასაქმებაში ხელშეწყობა.

პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, 2019 წელს პროგრამის სოციალური მუშაკების მიერ, <u>თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდის რაიონში დახმარება გაეწია 0–18 წლამდე ასაკის **1076 ბავშვსა და მათ ოჯახს/მშობელს** (დეკემბრის მდგომარეობით)</u>.

2019 წელს წარმატებით მიმდინარეობდა **ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ავსტრიის SOS ბავშვთა სოფლის** მიერ დაფინანსებული 36 თვიანი **პროექტი - „მოწყვლადი ოჯახებისა და მათი შვილების სოციალური ფუნქციონირების აღდგენა-გაუმჯობესების ხელშეწყობა ზუგდიდის რაიონში“** განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარ ბავშვებსა და მათ ოჯახებს მიეწოდებოდათ ოჯახის მხარდამჭერი სხვადასხვა მომსახურება თუ ინტერვენცია, როგორიცაა **სოციალური სამუშაო, ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის განვითარება და საგანმანათლებლო საჭიროებების** დაკმაყოფილება. პროექტის ფარგლებში, 2019 წელს ასევე ფუნქციონირებდა **დღის ცენტრი**, სადაც ჩართული იყო 20 ბავშვი **(ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფი: 6-18),** რომელმაც დიდი დახმარება გაუწია სოციალურად დაუცველ ბენეფიციარ ბავშვებს სოციალური ფუნქციონირების აღდგენა-გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღის ცენტრის მომსახურებას აფინანსებს საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც გახლვათ პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი.

2019 წელს წარმატებით გაგრძელდა სამწლიანი პროექტი - **„მოწყვლადი ოჯახებისა და მათი შვილების სოციალური ფუნქციონირების აღდგენა-გაუმჯობესების ხელშეწყობა ქუთაისისა და გუმბრის თემში”**, რომლის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო და ჰერმან გმაინერის გერმანიის ფონდი. პროექტის ფარგლებში 2019 წელს ბენეფიციარ ბავშვებსა და მათ ოჯახებს მიეწოდათ ოჯახის მხარდამჭერი სხვადასხვა მომსახურება და ინტერვენცია, როგორიცაა **ფსიქო-სოციალური დახმარება, პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობის განვითარება.** პროექტის ფარგლებში, 2019 წელს ასევე ფუნქციონირებდა **დღის ცენტრი**, სადაც ჩართული იყო 20 ბავშვი **(ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფი: 1-3)**. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ დღის ცენტრის მომსახურების ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ქ. ქუთაისის მერია, რომელიც პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის ნაწილში გახლავთ ერთ-ერთი მინიშვნელოვანი პარტნიორი.

2019 წელს, ოჯახების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, ორგანიზებული იყო გარე პროფესიული სუპერვიზია, როგორც სოციალური მუშაკებისთვის, ისე ფსიქოლოგებისთვის. აღნიშნული მიდგომის გამოყენებით ხელი შეეწყო პროექტის ეფექტურობა-ეფექტიანობის გაზრდას; გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგების საშუალებით, თანამშრომელთა პროფესიული მხარდაჭერაც.

1.1 დედათა და ბავშვთა თავშესაფარის მომსახურებები

ოჯახის გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, თბილისსა და ქუთაისში 2019 წელს ფუნქციონირებდა 2 დედათა და ბავშვთა თავშესაფარი.

აღნიშნული მომსახურების მიზანია უზრუნველყოს მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დედებისა (მარტოხელა მშობლები) და მათი 10 წლამდე ასაკის შვილების მხარდაჭერა, კერძოდ კი თავშესაფრის შეთავაზება და სხვადასხვა სახის ინტერვენციების მიწოდება, მათი სოციალური ფუნქციონირების აღდგენა-გაუმჯობესებისთვის.

დედათა და ბავშვთა თავშესაფრები განვითარდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით და იგი განსაზღვრულია 30 მარტოხელა დედისა და მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების მხარდაჭერაზე.

თბილისსა და ქუთაისში არსებული 2 დედათა და ბავშვთა თავშესაფარი ფოკუსირებულია ბავშვების მიტოვების პრევენციაზე და ხელს უწყობს თავშესაფარში მცხოვრები დედების გაძლიერებას, რათა მათ თავშესაფრიდან გასვლის შემდგომ დამოუკიდებლად შეძლონ უსაფრთხო გარემოში საკუთარ შვილებზე სათანადოდ ზრუნვა.

თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარები იღებენ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- 24 საათიანი/სადღეღამისო ზრუნვა
- ჯანსაღი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა
- ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსით უზრუნველყოფა
- პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა
- საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზება
- ადგილზე პედიატრის, ექთანისა და ძიძის მომსახურება
- პრენატალური ზრუნვა
- ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა
- დედების ბავშვზე ზრუნვის უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელშეწყობა
- დედებისათვის პროფესიული და არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა
- თანადგომის ქსელის გაძლიერება
- დედების დასაქმებაში ხელშეწყობა

პროფესიული განათლების მიღების, დასაქმებასა და თვითდასაქმებაში დახმარების მიზნით, ბენეფიციარებს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გაეწიათ სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა. 2019 წელს, ისინი ეუფლებოდნენ სხვადასხვა პროფესიას, რამდენიმეს გადაეცა თვითდასაქმებისათვის საჭირო მასალები და ინვენტარი.

თავშესაფრის ბენეფიციარებთან, მათი გაძლიერების მიზნით, პერმანენტულად ტარდებოდა სხვადასხვა სახის ინტერვენციები, როგორიცაა: ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით; ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები მშობლის უნარ-ჩვევების, პიროვნული ზრდის, ტრავმასთან გამკლავებისა და ურთიერთობების დროს არსებული სირთულეების დაძლევის კუთხით. გარკვეული პერიოდულობით მოწვეული

სპეციალისტები ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს სამართლებრივ და ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხებზე; გარდა ამისა, ხელოვნების კლუბის ფარგლებში ტარდებოდა ხელნაკეთი ნივთების დამზადების შემსწავლელი ტრენინგები, რომელსაც ჰქონდა, როგორც შემეცნებითი, ასევე თერაპიული ხასიათი. ამ გზით მარტოხელა დედებს გაეზრდათ თვითდასაქმების შესაძლებლობა.

თბილისისა და ქუთაისის ოჯახის გაძლიერების პროექტების სოციალური მუშაკების მხარდაჭერით, აქტიურად მიმდინარეობდა ბენეფიციარების თანადგომის ქსელთან მუშაობა; გარდა ამისა, ისინი სხვადასხვა თემაზე ატარებდნენ ადვოკატირების ღონისძიებებს სხვადასხვა უწყებებთან.

1.2 თბილისის ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პროგრამა

2019 წლის ოქტომბრიდან ოჯახის გაძლიერების პროექტის ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო ახალმა პროგრამამ - ბავშვთა ადრეული განვითარება. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაა, რომელიც განკუთვნილია 0-7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. აღნიშნული მომსახურება გულისხმობს ბავშვის განვითარების ხელშეწყობას და მშობლობის უნარების გაძლიერებას. პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

✓ **რეკრუტირება:**
საანგარიშო პერიოდში მოხდა ახალი თანამშრომლების შერჩევა გასაუბრების გზით, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის სპეციალისტებმა აპრილიდან ივლისის ჩათვლით გაიარეს სატრენინგო კურსი: „ბავშვთა ადრეული ინტერვენციის ტრენინგი“, რომელსაც ატარებდა „საქართველოს ადრეული ინტერვენციის კოალიცია“. კურსის დასრულების შემდეგ ჩააბარეს გამოცდები, რის შედეგადაც გადაეცათ დამადასტურებელი სერტიფიკატები.

პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 7 თანამშრომელი (1 ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის სუპერვაიზორი, 5 ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის სპეციალისტი და 1 ადმინისტრაციული ასისტენტი).

✓ **სამოქმედო გეგმა:**
2019 წლის სექტემბრის თვეში გაიწერა ბენეფიციართა მოზიდვის სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებული იყო ახალი პროგრამის შესახებ ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2019 წლის სექტემბრის თვეში ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების სერვის-ცენტრში, იქ მომუშავე სოციალურ მუშაკებთან შედგა პროექტის კოორდინატორის შეხვედრა ახალი პროგრამის, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის დაწყების შესახებ.

2019 წლის ოქტომბრის თვეში ოჯახის გაძლიერების პროექტის 0-3 წლამდე ბავშვებში ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის სპეციალისტების მიერ განხორციელდა ბავშვის განვითარების უფასო სკრინინგი. აღნიშნული შეფასება ჩაუტარდა 32 ბავშვს, მათგან 16 ბავშვში გამოიკვეთა რისკის არსებობა და სრული შეფასების ჩატარების საჭიროება. ბავშვები სოციალური მუშაკების მიერ გადამისამართდნენ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში, მათგან ოთხმა უკვე გაიარა შეფასება, დანარჩენი პროცესშია.

2019 წლის ნოემბრის თვეში ორგანიზაციის მიერ გაიმართა ღონისძიება ოჯახის გაძლიერების პროექტისა და ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის გაცნობისა და მათ შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

✓ **ტრენინგი/საკონსულტაციო შეხვედრები თანამშრომლებისთვის:**
საანგარშო პერიოდში პროექტის გუნდის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგებსა და პროფესიულ შეხვედრებში:

- 2019 წლის სექტემბრის თვეში ოჯახის გაძლიერების პროექტის გუნდთან ერთად ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ჯგუფის სუპერვაიზორი და პროგრამის ასისტენტი დაესწრნენ სატრენინგო კურსს „ოჯახის საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენცია“, მიიღეს შესაბამისი სახელმძღვანელოები;
- 2019 წლის 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს თვეში ოჯახის გაძლიერების პროექტის გუნდთან ერთად ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ჯგუფის სუპერვაიზორი და პროექტის ასისტენტი დაესწრნენ სატრენინგო კურსს „სხეულზე ორიენტირებული ფსიქოთერაპია“;
- 2019 წლის დეკემბრის თვეში ოჯახის გაძლიერების ოჯახის გაძლიერების პროექტის გუნდთან ერთად ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ჯგუფის სუპერვაიზორი და 1 სპეციალისტი დაესწრო სატრენინგო კურსს „მშობლობა ძალადობის გარეშე“. აღნიშნული კურსის დაგეგმვა და ჩატარება უნდა მოხდეს ბენეფიციარებთან.

<u>2019 წელს თბილისის ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია **33 ბავშვს** (დეკემბრის მდგომარეობით)</u>.

ალტერნატიული ზრუნვა

ყველა ბავშვის უფლებაა იზრდებოდეს მზრუნველ, ოჯახურ გარემოში. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვის აღზრდა შეუძლებელია, საჭირო ხდება მზრუნველობამოკლებული ბავშვისათვის ალტერნატიული მომსახურების მიწოდება. სწორედ ამ მიზნით, <u>**ალტერნატიული ზრუნვის**</u> ფარგლებში, ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს სთავაზობს ოჯახთან მიახლოებულ, მზრუნველ და უსაფრთხო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მათ ჯანსაღ პიროვნებებად ჩამოყალიბებას, მათი სოციალური უნარების განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს.

ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში, ასოციაციის მიზანია მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს/ახალგაზრდებს დაეხმაროს საკუთარი მომავლის ფორმირებაში. შესაბამისად, ბენეფიციარებს საშუალება ეძლევათ ოჯახთან მიახლოებულ გარემოში ჩამოაყალიბონ მყარი ურთიერთობები და მათი ინტერესებისა და ნიჭის გათვალისწინებით, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები; გარდა ამისა, მიიღონ განათლება, გაიღრმავონ პრაქტიკული ცოდნა და გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში, ორგანიზაცია მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს/ახალგაზრდებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებებს: **მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ახალგაზრდული სახლები, ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამები**.

2.1 მცირე საოჯახო ტიპის სახლები

მცირე საოჯახო ტიპის სახლის დანიშნულებაა ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული, ოჯახთან მიახლებული გარემოს შექმნა. აღნიშნული გარემო ბავშვს აძლევს შესაძლებლობას ჰქონდეს ბედნიერი ბავშვობა, დაეუფლოს სოციალურ უნარ-ჩვევებს, მიიღოს განათლება და ეტაპობრივად მოემზადოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

მცირე საოჯახო ტიპის სახლში თითოეულ ბავშვს ჰყავს აღმზრდელ(ებ)ი, რომლებიც ზრუნავენ მათზე და უქმნიან მას უსაფრთხო, სტაბილურ და სიყვარულით სავსე გარემოს. ბიოლოგიური დედმამიშვილები აუცილებლად ერთსა და იმავე მცირე საოჯახო ტიპის სახლში იზრდებიან.

მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრებ ბავშვებთან გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომა მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ, რომელშიც ჩართულნი არიან სხვადასხვა სპეციალისტები (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, აღმზრდელი, პედიატრი) და თავად ბავშვები. აღსაზრდელის ჭეშმარიტი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, იქმნება ინდივიდუალური განვითარების გეგმა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე დამყარებული ზრუნვის მიწოდებას თითოეული ბავშვისათვის.

გარდა საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, როგორიცაა ჯანსაღი კვება, უსაფრთხო გარემო, განათლება და ჯანდაცვა, მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურება საშუალებას აძლევს აღსაზრდელებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი ნიჭი, ინტერესები და პოტენციალი, ორგანიზაცია კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობას. ბავშვები ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში, დასვენებისა და გაჯანსაღების, კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში, სწავლობენ საკუთარი ჯიბის ფულის გამოყენებას, ეუფლებიან სოციალურ უნარებსა და ეტაპობრივად ემზადებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

2019 წელს თბილისში, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებდა 25 მცირე საოჯახო სახლი და შესაბამისად, აღნიშნულ მომსახურებებში **2019 წელს ჩართული იყო მშობელთა მზრუნველობას მოკლებული 143 ბავშვი** (დეკემბრის მდგომარეობით).

2.2 ახალგაზრდული სახლები

ახალგაზრდებზე ზრუნვის პროგრამა ითვალისწინებს, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ახალგაზრდების დახმარებას, მათი სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებისა და დამოუკიდებელი სოციალური ფუნქციონირების მიზნით.

ყველა ახალგაზრდული სახლი გახლავთ თემში ინტეგრირებული. თითოეულ სახლში ერთდროულად ცხოვრება შეუძლია მაქსიმუმ 15 ახალგაზრდას. თითოეულ ახალგაზრდულ სახლს ადმინისტრირებას უწევს ახალგაზრდული პროგრამების კოორდინატორი და 4 აღმზრდელი-პედაგოგი. თითოეული აღმზრდელი-პედაგოგი

არის 3–4 ახალგაზრდის მთავარი მზრუნველი პირი. მცირე საოჯახო ტიპის სახლის მსგავსად, ახალგაზრდულ სახლშიც მოზარდებთან მუშაობისას გამოიყენება ზრუნვის ინდივიდუალური მიდგომა.

ახალგაზრდული სახლის დანიშნულებაა უზრუნველყოს ახალგაზრდების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ხელი შეუწყოს მათ საკუთარი შესაძლებლობებისა და პოტენციალის გამოვლენაში და სოციალური უნარების განვითარებაში. ახალგაზრდებს საშუალება აქვთ მიიღონ უმაღლესი, უმაღლეს-პროფესიული და/ან პროფესიული განათლება, დასაქმდნენ და მოემზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში, <u>2019 წელს (დეკემბრის მდგომარეობით) თბილისის ახალგაზრდული სახლში მომსახურება გაეწია **14 ახალგაზრდას**, ხოლო ქუთაისის ახალგაზრდული სახლში კი **10 ახალგაზრდას**.</u>

2.3 ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამა

ახალგაზრდულ სახლში ცხოვრების ოთხი წლის შემდეგ ახალგაზრდას აქვს საშუალება ჩაერთოს ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამაში. ამისათვის მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული კრიტერიუმები, კერძოდ, უნდა სწავლობდეს უმაღლეს, უმაღლეს-პროფესიულ და/ან პროფესიულ სასწავლებელში, ან მუშაობდეს უწყვეტად ბოლო 6 თვის მანძილზე.

ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამის მთავარი მიზანია, ახალგაზრდულ სახლში შეძენილი სასიცოცხლო უნარების განვითარება-დახვეწა და ახალგაზრდების დახმარება დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში. ამ ეტაპზე ახალგაზრდა უკვე დამოუკიდებლად ცხოვრობს საკუთარ ან ორგანიზაციის ფინანსური რესურსით ნაქირავებ ბინაში. ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამის ფარგლებში, მთავარი მზრუნველი პირი აგრძელებს ახალგაზრდაზე ზედამხედველობას; გარდა ამისა, უწყვეტად მიმდინარეობს მატერიალური და არამატერიალური დახმარების გაწევა, რომლითაც ახალგაზრდა სარგებლობდა ახალგაზრდულ სახლში.

ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამაში <u>თბილისსა და ქუთაისში 2019 წელს (დეკემბრის მდგომარეობით) ჩართული იყო **41 ახალგაზრდა**.</u> წლის განმავლობაში მათ დახმარებას უწევდნენ ახალგაზრდული სახლების პედაგოგები და შესაბამისად, თითოეულ ახალგაზრდას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, გაეწია სხვადასხვა დახმარება და მხარდაჭერა.

2.4 ბინით უზრუნველყოფის პროგრამა

ალტერნატიული ზრუნვის სამივე ეტაპის გავლის შემდეგ, ახალგაზრდა დამოუკიდებლად გადადის საცხოვრებლად. ამ პერიოდში წყდება მასზე პირდაპირი მზრუნველობა და შესაბამისად, მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის წარმოება.

დამოუკიდებელი ცხოვრების ეტაპზე, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ორგანიზაცია ეხმარება ახალგაზრდას ბინის შეძენაში, რომლის ღირებულების 60-70%-ს გამოყოფს ორგანიზაცია, ხოლო 30-40%-ს კი საკუთარი

დანაზოგით, თავად ახალგაზრდა. ამ პროექტს „ბინით უზრუნველყოფის პროგრამა“ ეწოდება.

2019 წელს თბილისში **2 ახალგაზრდას** გაეწია დახმარება და ბინით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, მათ შეიძინეს საცხოვრისი. შესაბამისად, თითოეული მათგანი დღეს უკვე დამოუკიდებლად ახერხებს ცხოვრებას.

საგანმანათლებლო პროგრამები

განათლების მიღების შესაძლებლობამ ბავშვებს უნდა გაუღვივოს და განუვითაროს ენის, კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების პატივისცემა, სოციალური პასუხისმგებლობა და ტოლერანტობა; გარდა ამისა, ხელი შეუწყოს ბავშვების სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი, ფიზიკურ-მოტორული, სამეტყველო უნარების განვითარებასა და ზოგადი ცოდნის მიღებას, ასევე მის სულიერ და ფიზიკურ სიჯანსაღეს, რასაც, თავის მხრივ, საყოველთაოდ აღიარებული ბავშვის უფლებების დაცვის პრინციპები უდევს საფუძვლად.

ამდენად, საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი, ოჯახის გაძლიერების პროგრამისა და ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში, მიტოვების რისკის წინაშე მყოფი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის ახორციელებს სხვადასხვა სახის **საგანმანათლებლო პროგრამას,** რათა ხელი შეეწყოს მათ ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურად ჯანსაღ პიროვნებებად ჩამოყალიბებას.

3.1 პროექტი – “ბავშვების გაძლიერება განათლების საშუალებით”

2019 წელს, **საერთაშორისო ორგანიზაცია – “ბარინგტონის საგანმანათლებლო ინიციატივა”** ფინანსურით მხარდაჭერით, თბილისსა და ქუთაისში განხორციელდა 2 სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, რომლის მიზანიც გახლდათ, როგორც მიტოვების რისკის წინაშე მყოფი (ქ. ქუთაისში), ისე მზრუნველობამოკლებული ბავშვების (ქ. თბილისში) საგანმანათლებლო მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში, თბილისში დახმარება გაეწია მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ 51 ბავშვს, ხოლო ქუთაისში 33 ბავშვს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

პროექტი “ახალგაზრდების გაძლიერება წარმატებისთვის”

2018 წლის დეკემბერში, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელმა Hermann-Gmeiner-Fonds Deutchland -თან და World Vision საქართველოსთან პარტნიორობით დაიწყო პროექტის - „ახალგაზრდების გაძლიერება წარმატებისთვის“ განხორციელება.

ერთწლიანი პროექტის მთავარი მიზანი გახლდათ საქართველოს ოთხი რეგიონის მუნიციპალიტეტებში (ზუგიდიდი, ქუთაისი, ახალციხე, თელავი) მცხოვრები მოწყვლადი ახალგაზრდების მხარდაჭერა და გაძლიერება. შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებდა ცოდნის გაზიარებაზე აგებული ინოვაციური პლატფორმის - ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბებას ახალგაზრდების დასაქმებისა და

სამოქალაქო ჩართულობისათვის აუცილებელი უნარების განვითარების მიზნით. საერთო ჯამში შეიქმნა 8 ახალგაზრდული კლუბი, რომელიც მოიცავდა 199 პირდაპირ და 1191 არაპირდაპირ ბენეფიციარს.

2019 წლის ნოემბერში, ორგანიზებულ იქნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლისა და World Vision საქართველოს თანამშრომლებმა, ასევე, სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებმა. პროექტის დახურვის კონფერენციაზე მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დეტალურად გაცნობოდნენ პროექტის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს.

ადვოკატირება

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების დაცვით, ასოციაცია "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" **ადვოკატირებას** უწევს ბავშვთა უფლებების დაცვას და დარწმუნებულია, რომ ბავშვის განვითარება და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ოჯახურ გარემოში.

ორგანიზაციაში არსებობს ადვოკატირების სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. ადვოკატირების სტრატეგიის მიზნების გათვალისწინებით, მუდმივ რეჟიმში ხდება დიალოგი პოლიტიკის შექმნელებთან და მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისე სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

აქტივები	**31.12.2019 ლარი**	**31.12.2018 ლარი**
გრძელვადიანი აქტივები		
არამატერიალური აქტივები	5,605	7,305
ძირითადი საშუალებები	7,464,893	8,708,740
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	**7,470,498**	**8,716,045**
მარაგები	45,909	45,928
მოთხოვნები	638,556	672,058
ფული და ფულის ექვივალენტი	1,301,075	1,355,649
მთლიანი მიმდინარე აქტივები	**1,985,541**	**2,073,635**
სულ აქტივები	**9,456,039**	**10,789,680**
აკუმულირებული ფონდები და ვალდებულებები		
აკუმულირებული ფონდები		
შეუზღუდავი ფონდები	6,913,370	8,392,405
მთლიანი აკუმულირებული ფონდები	**6,913,370**	**8,392,405**
გრძელვადიანი ვალდებულებები	**0**	**0**
ფონდები სატრასტო მართვაში	344,939	417,017
გრძელვადიანი უზრუნველყოფის ფონდი (რეზერვი)	2,131,919	1,871,919
შეზღუდული ფონდები	13,697	78,466
მიმდინარე ვალდებულებები	**2,476,858**	**2,394,551**
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	**2,490,555**	**2,367,401**
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	52,113	29,826
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე		47
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	**52,113**	**29,873**
სულ აკუმულირებული ფონდები და ვალდებულებები	**9,456,039**	**10,789,680**

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი	**ლარი**	**ლარი**
შემოსავალი საზღვარგარეთიდან	**5,599,182**	**5,603,095**
შემოსავალი მხარდამჭერი და განვითარების ხელშემწყობი ასოციაციებიდან მიმდინარე ხარჯებისთვის	5,599,182	5,603,095
შემოსავალი მხარდამჭერი და განვითარების ხელშემწყობი ასოციაციებიდან მშენებლობის პროექტებისთვის		
ადგილობრივი შემოსავალი	**1,826,182**	**1,546,668**
ადგილობრივი შემოსავალი მიღებული ფონდების მოზიდვით	409,969	349,948
სახელმწიფო სუბსიდიები და გრანტები	1,379,857	1,187,577
საოპერაციო ადგილობრივი შემოსავალი	1,304	624
სხვა ადგილობრივი შემოსავალი	35,053	8,519
სულ შემოსავალი	**7,425,364**	**7,149,763**
ხარჯები		
პროგრამული/პროექტის დანახარჯები	(5,522,191)	(5,315,438)
ადმინისტრაციული დანახარჯები	(1,554,810)	(1,452,209)
ფონდების მოზიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები	(31,402)	(25,485)
სხვა დანახარჯები	(865,492)	(395,850)
სულ დანახარჯები	**(7,973,896)**	**(7,188,983)**
სახსრების ტრანსფერი საოპერაციო შემოსავალში საზღვარგარეთიდან	**0**	**0**
წმინდა ნამატი/დეფიციტი საოპერაციო საქმიანობიდან	**(548,531)**	**(39,219)**
შემოსავალი/დანახარჯი საფინანსო საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავალი	19,480	16,385
საპროცენტო დანახარჯი	(3,875)	(3,761)
გაცვლითი კურსით გამოწვეული მოგება/ზარალი	13,771	4,718
სულ საფინანსო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	**29,376**	**17,342**
წმინდა ნამატი/დეფიციტი გადასახადამდე	**(519,156)**	**(21,877)**
მოგების გადასახადის ხარჯი	**-**	**-**
გადასახადების შემდეგ ნამატი/დეფიციტი	**(519,156)**	**(21,877)**

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	31.12.2019 ლარი	31.12.2018 ლარი
წამატი გადასახადის გადახდამდე	(519,156)	(21,877)
კორექტირებები:		
საწყისი წამთის კორექტირება	(959,879)	-
ამორტიზაცია	625,498	391,577
ქონების, მაწქაწა-დაწადგარების რეალიზაცია	161,628	4,273
საოპერაციო წამატი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**(691,909)**	**373,973**
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში	33,502	(98,208)
ცვლილებები მარაგებში	19	4,620
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	145,394	(209,028)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობდან	**(512,995)**	**71,358**
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(501,458)	(109,139)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-
კორექტირება ძირითად საშუალებებში	959,879	
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	**458,421**	**(109,139)**
ჯამური ფულის მოძრაობა	**(54,573)**	**(37,782)**
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ცვლილება	**(54,573)**	**(37,782)**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**1,355,649**	**1,393,431**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,301,075**	**1,355,649**